Sculpture Festival



2023

ქანდაკების ფესტივალი

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია
TBILISI ASSOCIATION OF ARCHITECTS AND SCULPTORS

Tbilisi association of Sculptors and Architechts

საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

KNAUF

CAPAROL
THE POWER OF SURFACE

SOKAHI

პროექტის ხელმძღვანელი
ლევან სალუქვაძე

პროექტის კურატორი
სოფიო ჩიტორელიძე

ფოტო
ალექსანდრე სვატიკოვი

ტექსტი
სოფიო ჩიტორელიძე
კატო ყარსელიშვილი

ფესტივალის კატალოგი გამოსაცემად მომზადდა საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური ხელშეწყობით

თბილისი - 2023

Head of the project
Levan Salukvadze

Project curator
Sopio Chitorelidze

Photographer
Alexander Svatikov

Text
Sopio Chitorelidze
Kato Karselishvili

The catalogue of festival was prepared for publication with the financial support of the Georgian Ministry of Culture Sports and Youth

Tbilisi - 2023



ფესტივალის შესახებ

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის ორგანიზებით, 2023 წელს „ქანდაკების ფესტივალი“ მოეწყო. ფესტივალი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.
„ქანდაკების ფესტივალი - 2023“ სამ ეტაპად ჩატარდა (2023 წლის მაისი-ოქტომბერი), უმასპინძლა სხვადასხვა ასაკის, დამწყებ და პროფესიონალ მოქანდაკეებს და მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზა ხელოვნების მოყვარულებს.
ფესტივალის პროგრამა აერთიანებდა გამოფენებს, ქანდაკების სტუდენტურ სიმპოზიუმს, საგანმანათლებლო-შემეცნებით ლექციებს, დისკუსიებს. სტუმრებისთვის განხორციელდა კულტურული ტური თბილისში.
პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გაიმართა.

About the festival

The "Sculpture Festival," organized in 2023 by the Tbilisi Association of Sculptors and Architects with the support of the Ministry of Culture, Sports, and Youth of Georgia, marked a significant cultural endeavor. Spanning three stages from May to October 2023, the festival served as a distinguished platform, welcoming both novice and seasoned sculptors across diverse age groups.

Comprising a multifaceted program tailored for art enthusiasts, the festival featured curated exhibitions, a sculpture student symposium, educational lectures, and thought-provoking discussions. Complementing the intellectual offerings, a curated cultural tour of Tbilisi was orchestrated for esteemed guests.

Hosted at the Merab Berdzenishvili International Culture Center "Muza," the festival introduced sculpture-focused events to Georgia in 2023.

The events planned within the framework of the project were held at the Merab Berdzenishvili International Cultural Center "Muza."

ქანდაკების ფესტივალი - 2023

2023 წელს თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასცოციაციის მიერ მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“ გამართული „ქანდაკების ფესტივალი“ დიდ ყურადღებას იმსახურებს და უდაოდ დატოვებს კვალს XXI საუკუნის ქართული ქანდაკების ისტორიაში. უპირველესად იმიტომ, რომ ფესტივალი გვთავაზობდა ერთგვარ დისკურსს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში რამდენიმე თაობის მოქანდაკეების შემოქმედების შესახებ და დამთვალიერებელს სახვითი ხელოვნების ამ ერთ-ერთი წამყვანი დარგის, დროში განვითარების სვლაზე თვალის მიდევნების საშუალებას აძლევდა. გარდა ამისა, ფესტივალმა ერთმანეთთან დააკავშირა სხვადასხვა ქვეყნიდან მომიჯნავე დარგის წარმომადგენლები: მოქანდაკეები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები, მკვლევრები, დიზაინერები, გალერისტები და ა.შ. პროექტის მიზანი თანამედროვე ქანდაკების ხელშეწყობა იყო, ამიტომ ფესტივალის ფარგლებში გამართულ ლექციებსა და დისკუსიებზე ქართული ქანდაკების ისტორია და მიმდინარე პროცესები, დარგში არსებული პრობლემები იყო განხილული. ამ ღონისძიებებით გარკვეულწილად განისაზღვრა ქანდაკების მომავალი განვითარებისთვის საჭირო ქმედებებიც. „ქანდაკების ფესტივალი“ ნიკოლოზ კანდელაკის (1889-1970) გამოფენით დაიწყო, რაც ქართული მრგვალი ქანდაკების განვითარების საწყისი ეტაპის დანახვის საშუალებასაც იძლეოდა. ეს გამოფენა, შეიძლება, საქართველოში პირველი ქანდაკების ფესტივალის შესავლადაც ჩავთვალოთ, რადგან გამოჩნდა ნიკოლოზ კანდელაკის მოსწავლეებმა, თუ მოსწავლეების მოსწავლეებმა რა ხაზით განავითარეს თავისი შემოქმედება, მოგვცეს იმის გაანალიზების საშუალება, თუ რა სურათს გვაძლევს დღეს თითოეული მათგანის მიერ გაწეული ღვაწლი და როგორ ურთიერთობაში არიან ისინი ერთმანეთთან. ნიკოლოზ კანდელაკს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მონუმენტური პლასტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია პორტრეტული ჟანრი. გამოფენაზეც არაერთი პორტრეტი იყო წარმოდგენილი, რომლებშიცინდივიდუალური ხასიათი და შესრულების მაღალმხატვრული დონე ნათლად ვლინდება, რაც გარკვეულწილად მასალის სხვადასხვაგვარი დამუშავებით, ფერის შემოტანით არის მიღწეული.

მათ შორის გამოირჩევა 1945 წლის მარშალ თეოდორე ტოლბუხინის პორტრეტი - ტონირებული თაბაშირით, 1952-1953 წელს თაბაშირით განხორციელებული ევგენია ჟუკოვსკაია-კანდელაკის პორტრეტი, 1960-1964 წლებით დათარიღებული პოეტ ალიო მირცხულავას პორტრეტი და სხვა. მათთან ერთად გამოფენილი იყო ტონირებული თაბაშირით შესრულებული რამდენიმე ნიუ. ამ რეტროსპექტიულ გამოფენაზე მკაფიოდ გამოიკვეთა, თუ როგორ ცდილობს მოქანდაკე ეპოქის მოთხოვნებთან ერთად სხვადასხვა მხატვრული თუ ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას, ერთი მხრივ, ძველი მქანდაკებლობის მიღწევების გათავისებას და მეორე მხრივ, სიახლის შემოტანას და მის გადაცემას ახალი თაობისთვის. ქანდაკების ფესტივალის ღონისძიებებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია ბავშვთა და მოზარდთა სკულპტურული და რელიეფური ნამუშევრების გამოფენა, სადაც მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით, სასკოლო ასაკის მოზარდებმა მიიღეს. მათ სხვადასხვა მასალაში შეასრულეს სამგანზომილებიანი სკულპტურები, რელიეფები და არტ-ობიექტები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 89 ნამუშევარი, რომლებშიც პატარა და ნიჭიერმა მოქანდაკეებმა ასახეს ისტორიული (ნიკოლოზ ნებიერიძე, 13 წლის, „დავით აღმაშენებელი“. პლასტელინი; სანდრო ურჩუხიშვილი, 9 წლის, „ერეკლე მეფე“. პლასტელინი), რელიგიური და ყოფითი თემები (ეკატერინე რურუა, 9 წლის „მეთევზე“. პლასტელინი; ანა რაინაული, 14 წლის „მონადირე“, პლასტელინი). ამასთანავე შეეხნენ ფილოსოფიურ (ნიკოლოზ ჩხიტუნიძე, 12 წლის „მოფიქრალი“, „მეომარი“. გამომწვარი თიხა), პატრიოტულ (ალექსანდრე კოსტანიშვილი, 13 წლის „გზა“. ხე), ეგზისტენციალურ (მარიამ თანდილაშვილი, 12 წლის, „პრინცი“. კერამიკა) ლიტერატურულ (დაჩი ღამბარაშვილი, 13 წლის, „შოთა რუსთაველი“. პლასტელინი; სალომე ბერძენიშვილი, 14 წლის, „ფუფალა“. პლასტელინი) საკითხებს.
რაც შეეხება ფესტივალის მომდევნო ღონისძიებას ის რამდენიმე ნაწილს მოიცავდა, ერთი მხრივ, ქანდაკების სტუდენტურ სიმპოზიუმს და მეორე მხრივ, საერთაშორისო გამოფენას „ურბანული ექსპრესია - სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებაში“.
სიმპოზიუმის მონაწილე დამწყებმა ხელოვანებმა თანამედროვე ინოვაციური მასალებით ურბანულ სივრცეში განსათავსებელი სკულპტურული კომპოზიციები შექმნეს. ღონისძიებაში მონაწილეობა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების მიმართულების სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა მიიღეს, რომლებიც კონკურსის გზით შეირჩნენ და წინასწარ მომზადებული ესკიზის მიხედვით მუშაობდნენ. მნიშვნელოვანი იყო, რომ დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, თვალი მიედევნებინათ ნამუშევრების შექმნის პროცესისთვის.

საბოლოო შედეგად ახალგაზრდა ხელოვანებმა საზოგადოებას ახალი შემოქმედებითი იდეები, ექსპერიმენტები და თანამედროვე ხედვები წარუდგინეს. ვინაიდან სტუდენტების ნამუშევრები საჯარო სივრცისთვის იყო განკუთვნილი, ისინი მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ ეზოში განთავსდა. ნამუშევრები მართლაც, სხვადასხვა რაკურსით აღიქმებოდა, თითოეულ სკულპტურაში ჩანდა განსხვავებული ხედვა, თუმცა - კარგად ნაცნობ ფორმასთან თავისუფალი მიდგომა. რეალისტური ფიგურების გვერდით აბსტრაქტული კომპოზიციებიც გვხვდებოდა. ახალგაზრდა მოქანდაკეების (შოთა ბორცვაძე, იოსებ ტატალაშვილი, გიორგი ჯარიაშვილი, ლაზარე ნოზაძე, იასონ ჯანხოთელი, ბექა ჩხაიძე) ნამუშევრებში გამოიკვეთა სხვადასხვა ისტორიული თუ ფუტურისტული თემები და სააზროვნო ფართო არეალები. სკულპტურულ კომპოზიციებს მონუმენტურობა აერთიანებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ არატრადიციული მასალა ექსპერიმენტის სირთულესაც განაპირობებდა და თან მოქანდაკეებს შემოქმედებითი თავისუფლების მრავალფეროვნების წარმოჩენის საშუალებაც აძლევდა. გამოვლინდა ახალგაზრდა ხელოვანების სივრცის თავისებური დაუფლებისა და ფორმათქმნადობის მრავალგვარი საშუალების ცოდნა, მასალის განსხვავებული აღქმა და გამოყენება.

სიმპოზიუმის ფარგლებში გამართული მეორე ღონისძიება საერთაშორისო გამოფენა: „ურბანული ექსპრესია - სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებაში“, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის სტუდენტი მოქანდაკეების მონაწილეობით ჩატარდა. საგამოფენო ნამუშევრები კონკურსის გზით საერთაშორისო ჟიურიმ შეარჩია და მათ შორის ოთხი გამარჯვებული გამოავლინა. სკულპტურული კომპოზიციები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, როგორც თემატურად, ასევე შესრულების მანერით, მასალით, რასაც რა საკვირველია, სხვადასხვა წინაპირობებმა შეუწყო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და აზერბაიჯანს საერთო კულტურულ არეალში მსგავსი პოლიტიკური და ისტორიული მოვლენების გადალახვა მოუწიათ, ეს ყველაფერი თანამედროვე შემოქმედებით ხედვაზე განსხვავებულად აისახა.

გამოფენა „ქართული ქანდაკება - აწმყოს ანარეკლი“ ფართო მასშტაბის ღონისძიება იყო, რომელიც მოიცავდა, როგორც პროფესიონალი მოქანდაკეების, ასევე მოყვარულთა ნამუშევრებს. ის „ქანდაკების ფესტივალი-2023-ის“ დასკვნით გამოფენას წარმოადგენდა. ექსპოზიციაში ნაჩვენები იყო როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი მოქანდაკეების მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილი 50-მდე სკულპტურული ნამუშევარი.

გამოფენა მრავალფეროვანებით გამოირჩეოდა, ვინაიდან მასში მონაწილეობას სხვადასხვა თაობისა და გამოცდილების ხელოვანები იღებდნენ. გარდა ამისა, კოვიდ 19-ის პანდემიის შემდეგ ყოფის ყოველი გამოვლინების თავისებური გადააზრება მოხდა. ეს კარგად გამოჩნდა გამოფენაზე, რადგან ხელოვანთა ნაწილმა წარსული თემები ახალი რაკურსიდან დაგვანახეს (ჯონი გოგაბერიშვილის ეკლარის ქვით შესრულებული ნამუშევარი „დმანისი“; ლევან მუზაშვილის „მედეა“). ნაწილი ყოფით თემებსა და ადამიანურ ურთიერთობებს უღრმავდება (თენგიზ აბრამიშვილის „სიჩუმე“;), ნაწილი განვითარების განსხვავებულ გზებს აბსტრაქტულ ფორმებთან ახალი მიდგომებით აღწევს (ზაქარია გულისაშვილის „სპირალი“). უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალი და მოყვარული მოქანდაკეების ნამუშევრების ერთ სივრცეში გამოფენა საკმაოდ რთული საკურატორო ამოცანაა, რათა თანაბარზომიერად უნდა იყოს წარმოდგენილი თითოეული ნამუშევარი, რაც ფესტივალის დამასრულებელ გამოფენაზე ნამდვილად ჩანდა.

დასასრულს კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ 2023 წელს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრ „მუზაში“ გამართულმა „ქანდაკების ფესტივალმა“, მრავალფეროვანი პროგრამით წარმოაჩინა, როგორც ქართული ქანდაკების მაღალმხატვრული მემკვიდრეობა, ისე ტრადიციისა და ინოვაციების დინამიური შერწყმა თანამედროვე მოცულობით პლასტიკაში. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ქანდაკების შემოქმედებითი ძალა, აქტუალობა და დარგის სიცოცხლისუნარიანობა, დროის მიერ შემოთავაზებული ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე.

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის ორგანიზებით ქანდაკების ფესტივალი საქართველოში პირველად მოეწყო. იგი როგორც პროფესიული გამოცდილების გაცვლის, კომუნიკაციისა და შემოქმედებითი ინოვაციების შთაგონების პლატფორმა ყოველწლიური განმეორებით, უდავოდ დიდ როლს შეასრულებს, ქართული ქანდაკების განვითარებაში და მნიშვნელოვნად გაამდიდრებს კავკასიის რეგიონის კულტურულ ცხოვრებას.

ნიკოლოზ კანდელაკი
NIKOLOZ KANDELAKI

ქანდაკების ფესტივალი 2023

გამოფენა
EXHIBITION
16-18. 05. 2023

მ. ბერძენიშვილის ქ. #1
M.BERDZENISHVILI STR.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE, SPORT AND YOUTH OF GEORGIA

TASA
Tbilisi association of Sculptors and Architectors

პირველი პრაქტიკა

საქართველოს კულტურის ფონდი

ნიკოლოზ კანდელაკის გამოფენა

- **მაისი 16-22**

„ქანდაკების ფესტივალი“ მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის გამოფენით გაიხსნა.
ნიკოლოზ კანდელაკის (1889-1970) დამსახურება განსაკუთრებულია ქართული მონუმენტური პლასტიკის ჩამოყალიბება-განვითარებაში. მან 120-ზე მეტი ნაწარმოები განახორციელა, რომელთაგან უმრავლესობას პორტრეტულ ქანდაკება წარმოადგენს. დიდია ნიკოლოზ კანდელაკის პედაგოგიური დამსახურება. 1926 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა. მისი სკოლა გაიარეს რამდენიმე თაობის მოქანდაკეებმა, რომლებმაც შემდეგში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს ქართული ქანდაკების განვითარებაში.
ექსპოზიციაზე დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა ხელოვანის მემკვიდრეების კუთვნილებაში არსებული 30 - მდე ნაწარმოები. აღსანიშნავია, რომ მოქანდაკის ამ მასშტაბის გამოფენა პოსტსაბჭოთა პერიოდში პირველად გაიმართა.



The Exhibition of Nikoloz Kandelaki

- May 16 - 22

The opening week of the "Sculpture Festival," from May 16 to 22, commenced with an exhibition showcasing the works of the sculptor Nikoloz Kandelaki.
Nikoloz Kandelaki (1889-1970) holds a distinctive position in the evolution and maturation of Georgian monumental plastic art. Renowned for his prolific output, exceeding 120 works, with a predominant focus on portrait sculptures, Kandelaki's pedagogical influence is equally noteworthy. Serving as an instructor at the Tbilisi State Academy of Arts from 1926 until the culmination of his career, he played a pivotal role in shaping several generations of sculptors, who, in turn, made significant contributions to the advancement of Georgian sculpture.
The exhibition featured a curated selection of approximately 30 works from the artist's rich legacy. Notably, this showcase marked the first time of presenting a sculpture exhibition of such scale in the post-Soviet era.

ნიკოლოზ კანდელაკის გამოფენის გახსნა. მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი “მუზას” საგამოფენო სივრცე

Opening of the Nikoloz Kandelaki exhibition. Merab Berdzenishvili International Culture Center "Muza" exhibition space

ევგენია ჟუკოვსკაია-კანდელაკის პორტრეტი. თაბაშირი. 1952- 1953 წწ.

Portrait of Evgenia Zhukovskaya-Kandelaki, plaster. 1952-1953.

ნიკოლოზ კანდელაკის გამოფენის გახსნა. მერაბ ბერძენიშვილის
კულტურის საერთაშორისო ცენტრი “მუზას” საგამოფენო სივრცე

Opening of the Nikoloz Kandelaki exhibition. Merab Berdzenishvili
International Culture Center "Muza" exhibition space

“ნიუ” ტონირებული თაბაშირი. 1968 წ
“New”, tinted plaster. 1968

ნიკოლოზ კანდელაკის გამოფენის გახსნა. მერაბ ბერძენიშვილის
კულტურის საერთაშორისო ცენტრი “მუზას” საგამოფენო სივრცე

Opening of the Nikoloz Kandelaki exhibition. Merab Berdzenishvili
International Culture Center "Muza" exhibition space

ნიკოლოზ კანდელაკის გამოფენის გახსნა. მერაბ ბერძენიშვილის
კულტურის საერთაშორისო ცენტრი “მუზას” საგამოფენო სივრცე

Opening of the Nikoloz Kandelaki exhibition. Merab Berdzenishvili
International Culture Center "Muza" exhibition space

მარშალ თეოდორე ტოლბუხინის პორტრეტი
ტონირებული თაბაშირი, 1945 წ.

Portrait of Marshal Theodore Tolbukhin. Tinted plaster, 1945.

პოეტ ალიო მირცხულავას პორტრეტი
თაბაშირი, 1960-1964 წწ.

Portrait of poet Alio Mirtskhulava. Tinted plaster, 1960-1964.

ქანდაკების ფესტივალი 2023

მომავალი მოქანდაკე



ბავშვთა და მოზარდთა სკულპტურული ნამუშევრების გამოფენა
25 მაისი, 17:00

მ.ბერძენიშვილის ქ. #1

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE, SPORT AND YOUTH OF GEORGIA
LASA
Union association of Sculptors and Architects
პირველი პარტი
ITV GE
საქართველოს კულტურის ფონდი

მომავალი მოქანდაკე

- **მაისი 25-31**

ბავშვთა და მოზარდთა სკულპტურული ნამუშევრების გამოფენაში „მომავალი მოქანდაკე“ , საქართველოს მასშტაბით, სასკოლო ასაკის მოზარდებმა მიიღეს მონაწილეობა. მათ მიერ სამგანზომილებიანი სკულპტურები, რელიეფები, თუ სხვა ტიპის არტ-ობიექტები პროექტის ფარგლებში შეიქმნა და ელექტრონული კონკურსის გზით შეირჩა. გამოფენაზე წარმოდგენილი 89 ნამუშევრის ნახვით, დამთვალიერებლებს საშუალება მიეცა გაცნობოდა „მომავალი მოქანდაკეების“ წარმოსახვასა და შემოქმედებას, მათ მიერ გააზრებულ სხვადასხვა თემებსა თუ სტილებს. ღონისძიება მოზარდი ხელოვანებისთვის შთაგონების წყაროდ იქცა და ერთგვარი დღესასწაული იყო მნახველთათვისაც.

Future Sculptor

- May 25 -31

From May 25 to 31, the "Future Sculptor" exhibition unfolded, showcasing the artistic endeavors of school-aged children from across Georgia. Participants engaged in the creation of three-dimensional sculptures, reliefs, and various other forms of artistic expression as part of a project that utilized an electronic competition for selection.
The exhibition, featuring 89 curated works, provided visitors with a unique opportunity to immerse themselves in the imaginative and creative world of these sculptors. Through this display, attendees gained insight into the diverse themes and styles explored by the young artists. The event served not only as a source of inspiration for the emerging talents but also as a celebration for the visitors, fostering a sense of appreciation for the artistic potential and creativity of the next generation.

გამოფენის “მომავალი მოქანდაკე”მონაწილეები

Participants of the "Future Sculptor" exhibition

გამოფენის “მომავალი მოქანდაკე” გახსნა

Opening of the "Future Sculptor" exhibition

ლალი ზორბაიანი, 13 წლის„ცხვარი“. თაბაშირი

Lali Zorbaiani. 13 years old, "Sheep". Plaster

ალექსანდრე კოსტანიშვილი, 13 წლის„გზა“. ხე

Aleksandre Kostanishvili. 13 years old, "pathway". wood

ნიკოლოზ ნებიერიძე,
13 წლის, „დავით აღმაშენებელი“.
პლასტელინი

Nikoloz Nebieridze. 13 years old,
"Davit Agmashenebeli". Plasticine

მარიამ თანდილაშვილი,
12 წლის, „პრინცი“. კერამიკა

Mariam Tandilashvili.
12 years old. "Prince". ceramics

საბა ბოლქვაძე, 12 წლის
„კალათბურთელი“. თიხა

Saba Bolkvadze. 12 years old.
"basketball player". clay

ქრისტინე ხაჩატურიანი,
10 წლის, „ჯამბაზი“.
პლასტელინი

Kristine Khachaturiani
10 years old. "Clown". Plasticine

მარიამ ხოროშვილი, 14 წლის
„დელფინი“. თიხა

Mariam Khoroshvili.
14 years old. "Dolphin". clay

ნიკოლოზ ჩხიტუნიძე , 12 წლის
„მოფიქრალი“, მეომარი “.
გამომწვარი თიხა

Nikoloz Chkhitunidze.
12 years old "thinker, warrior”.
Baked clay

დაჩი ღამბარაშვილი,
13 წლის, „შოთა რუსთაველი“.
პლასტელინი

Dachi Gambarashvili.
13 years old. "Shota Rustaveli". Plasticine

სალომე ბერძენიშვილი,
14 წლის, „ფუფალა“. პლასტელინი

Salome Berdzenishvili
14 years old. "Fufala". Plasticine

მარკოს ვაჩაძე, 16 წლის
„უსახლკარო“. პლასტელინი

Markos Vachadze.
16 years old. "Homeless". Plasticine

სანდრო ურჩუხიშვილი,
9 წლის, „ერეკლე მეფე“.
პლასტელინი

Sandro Urchukhishvili.
9 years old. "King Erekle". Plasticine

ლუკა მსხალაძე, 8 წლის
„თავისუფლების ქანდაკება“.
პლასტელინი

Luka Mskhaladze
8 years old. "Statue of Freedom". Plasticine

ანა რაინაული, 14 წლის
„მონადირე“, პლასტელინი

Anna Rainauli. 14 years old.
"Hunter", plasticine

ეკატერინე რურუა, 9 წლის„მეთევზე“. პლასტელინი

Ekaterine Rurua. 9 years old. "Fisherman". Plasticine

ანრი უსოევი, 14 წლის„მარტორქა“. პლასტელინი

Anri Usoev. 14 year old. "Rhino". Plasticine

თეიმურაზ ზაქარიაძე, 9 წლის
„სანაპირო - ჩემი აფხაზეთი“. პლასტელინი, ნიჟარები, მოზაიკა

Teimuraz Zakariadze. 9 years old, "Beach - My Abkhazia". Plasticine, seashells, mosaic

ქანდაკების ფესტივალი 2023

STUDENT
SCULPTURE
SYMPOSIUM

ქანდაკების
სტუდენტური
სიმპოზიუმი

SCULPTURE FESTIVAL 2023



ქანდაკების სტუდენტური სიმპოზიუმი

- **ივლისი -18-22**

ქანდაკების სიმპოზიუმში მონაწილეობა ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების მიმართულების ექვსმა სტუდენტმა მიიღო. ღონისძიების ფარგლებში დამწყებმა ხელოვანებმა თანამედროვე ინოვაციური მასალებით (პენოპლასტი,ლითონის ბადე და სხვ.) ურბანულ სივრცეში განსათავსებელი სკულპტურული კომპოზიციები წინასწარ შექმნი ესკიზების მიხედვით განახორციელეს.
 დასრულებული ნამუშევრებით დროებითი ექსპოზიცია მ. ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტის „მუზას“ ეზოში მოეწყო.

Sculpture Student Symposium

- July -18-22

Six students from the Sculpture Department at the Apolon Kutateladze Tbilisi Academy of Arts participated in the sculpture symposium. As an integral component of this event, artists incorporated contemporary and innovative materials such as Polymeric foam and metal mesh to craft sculptural compositions designed for urban spaces. These creations were executed in accordance with pre-existing sketches.
The culmination of their efforts resulted in a temporary exposition featuring the completed works, arranged in the yard of the Merab Berdzenishvili International Cultural Center "Muza."
The opening of the sculpture student symposium in the yard of Merab Berdzenishvili International Cultural Center "Muza"

ქანდაკების სტუდენტური სიმპოზიუმის გახსნა. მერაბ ბერძენიშვილის
კულტურის საერთაშორისო ცენტრის “მუზას” ეზოში

The opening of the sculpture student symposium in the yard of
Merab Berdzenishvili International Cultural Center "Muza

ქანდაკების სტუდენტური სიმპოზიუმის გახსნა . მერაბ ბერძენიშვილის
კულტურის საერთაშორისო ცენტრის “მუზას” ეზოში

The opening of the sculpture student symposium in the yard of
Merab Berdzenishvili International Cultural Center "Muza

შოთა ბორცვაძე . „მორევი“. თსსა, ქანდაკების მიმართულების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი

Shota Bortsvadze. "Morevi"
TSSA, 3rd year student of the bachelor's program in sculpture

იოსებ ტატალაშვილი . „ქალის ფიგურა“. თსსა, ქანდაკების მიმართულების საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი

Ioseb Tatalashvili. "female figure"
TSSA, 1st year student of the bachelor's program in sculpture

გიორგი ჯარიაშვილი. „რეკონსტრუქცია“- ტაო კლარჯეთი“. თსსა, ქანდაკების მიმართულების საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი

Giorgi Jariashvili. "Reconstruction" - Tao Klarjeti,
TSSA, 1st year student of the bachelor's program in sculpture

ლაზარე ნოზაძე. „აკვარიუმი“. თსსა, ქანდაკების მიმართულების სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი

Lazare Nozadze. "Aquarium"
TSSA, 1st year student of the master's program in sculpture

იასონ ჯანხოთელი. „თევზი“. თსსა, ქანდაკების მიმართულების საბაკალავრო პროგრამის I კურსის სტუდენტი

Jason Jankhoteli. "fish"
TSSA, 1st year student of the bachelor's program in sculpture



ბექა ჩხაიძე. „პეგასი“ თსსა, ქანდაკების მიმართულების სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი

Beka Chkhaidze. "Pegasus"
TSSA, 1st year student of the master's program in sculpture

ქანდაკების ფესტივალი 2023

ურბანული ექსპრესია - სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებაში

გამოფენა

URBAN EXPRESSION - IN THE CREATIVITY OF STUDENT SCULPTORS

EXHIBITION

OCTOBER 4TH
4 ოქტომბერი
მ. ბერძენიშვილის ქ. #1
M.BERDZENISHVILI ST. #1

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE, SPORT AND YOUTH OF GEORGIA

TASA
Tbilisi association of Sculptors and Architects

საქართველოს კულტურის ფონდი

სოკარი

პირველი არხი
1TV.GE

ურბანული ექსპრესია -
სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებში

- **ოქტომბერი -05-08**



საერთაშორისო გამოფენა „ურბანული ექსპრესია - სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებაში“ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის სტუდენტი მოქანდაკეების მონაწილეობით მოეწყო. საგამოფენო ნამუშევრები, ურბანული სივრცისთვის გათვალისწინებული სკულპტურული ესკიზები, ქანდაკების ფესტივალი 2023-ს ფარგლებში შესრულდა და კონკურსის გზით, საერთაშორისო ჟიურის მიერ შეირჩა. მონაწილეებს შორის 4 გამარჯვებული გამოვლინდა.

Urban expression -
In The Creativityof Student Sculptors

- **October 05-08**

The International Exhibition titled "Urban Expression - In the Creativity of Student Sculptors" was organized, featuring the collaborative efforts of student sculptors from both the Tbilisi State Academy of Fine Arts and the Azerbaijan State Academy of Fine Arts.
Within the framework of the Sculpture Festival 2023, the exhibited works comprised sculptural sketches specifically crafted for urban spaces. These pieces underwent a rigorous selection process by an international jury through a competition, culminating in the identification of four distinguished winners among the participants.

გამოფენის “ურბანული ექსპრესია სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებაში” გახსნა

The exhibition "Urban Expression In the creativity of student sculptors" opened

ნურიდა ისმაილოვა,“ურბანული ექსპრესია - სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებაში” გამოფენის მონაწილე

Nurida Ismailova. Participant in the exhibition "Urban Expression - in the Creativity of Student Sculptors"

გამოფენის “ურბანული ექსპრესია სტუდენტ მოქანდაკეთა შემოქმედებაში” გახსნა
The exhibition "Urban Expression In the creativity of student sculptors" opened

ბექა ჩხაიძე. რკინის ხანა. რკინა
Beka Chkhaidze, “Iron Age”. Iron

ნურიდა ისმაილოვა. შეხვედრა. პოლიესტერი

Nurida Ismailova, “meeting”. Polyester



ზაურ კაჰრამანოვი. ყარაბაღის ცხენი. ლითონი

Zaur Kahramanov, “Karabakh horse”. metal

შოთა ბორცვაძე. საიდუმლო. თაბაშირი, აკრილი, ტემპერა

Shota Bortsvadze, “secret”. Plaster, acrylic, tempera

ზუმრუდ აბასზადე
"ქარების ქალაქი". პოლიესტერი

Zumrud Abbaszade
"City of Winds". Polyester

კამილა აბასოვა
"სულთა ბრძოლა".
პოლიესტერი

Kamila Abasova
"Battle of Souls". Polyester

გულარა ნაბიევა
"ჭორები ქალაქში".
პოლიესტერი

Gulara Nabieva.
"Gossip in the City". Polyester

რატი ჯიქია
"ბალანსის ძიებაში".
მარმარილო, ქვა

Rati Jikia, "in search of balance".
Marble, stone

აისელ ნაღიევა. კულტურის აღორძინება. ბრინჯაო

Aisel Naghieva, “Culture Renaissance’. bronze

გიორგი ცქვიტინიძე. მედიტაციის ზონა. თაბაშირი, ლითონი, თოკი

Giorgi Tskvitinidze, “meditation zone”. Plaster, metal, rope

ლაზარე ნოზაძე. დისფუნქციური. რკინა, თაბაშირი, აკვარელი, აკრილი, ლაქი
Lazare Nozadze, “dysfunctional”. Iron, plaster, watercolor, acrylic, varnish

იოსებ ტატალაშვილი. სახელის გარეშე. თაბაშირი,ლითონი
Ioseb Tatalashvili, “Untitled”. Plaster, metal

იასონ ჯანხოთელი. პატარა ჩიტი. თაბაშირი, ტემპერა

Iason Jankhoteli, “little bird”. Plaster, tempera

თალიკო თოიძე. მეოცნებე. ტონირებული თაბაშირი

Taliko Toidze, “Dreamer”. Tinted plaster

საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE, SPORT AND
YOUTH OF GEORGIA

TASA
Tbilisi association of Sculptors and Architechts

ქანდაკების ფესტივალი 2023

ქართული ქანდაკება - აწმყოს ანარეკლი

გამოფენა

GEORGIAN SCULPTURE - REFLECTION OF THE PRESENT

EXHIBITION

18:00

OCTOBER 18TH
18 ოქტომბერი
მ. ბერძენიშვილის ქ. #1
M.BERDZENISHVILI ST. #1

საქართველოს
კულტურის
ფონდი

სოკარი

KNAUF

პირველი არხი
1TV.GE

ქართული ქანდაკება - აწმყოს ანარეკლი

- **ოქტომბერი -18-22**

გამოფენა „ქართული ქანდაკება - “აწმყოს ანარეკლი“ „ქანდაკების ფესტივალი-2023-ის დასკვნით ღონისძიებას წარმოადგენდა. ექსპოზიციაში ნაჩვენები იყო როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი მოქანდაკეების მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილი 50-მდე ნამუშევარი.

Georgian Sculpture - Reflection Of The Present

- **October -18-22**

The culminating event of the "Sculpture Festival-2023," the exhibition titled "Georgian Sculpture - Reflection of the Present," marked the grand finale of this project. The exposition featured approximately 50 carefully curated works, representing the collective efforts of Georgian sculptors who have been actively engaged in their craft both within the borders of Georgia and on the international stage over the past three years.

გამოფენის “ქართული ქანდაკება - აწმყოს ანარეკლი” გახსნა
Opening of the exhibition "Georgian Sculpture - Reflection of the Present".

თენგიზ აბრამიშვილი
„გაქცევა დედამიწიდან“. ქვა, რკინა. 2023 წ.
Tengiz Abramishvili. "Escape from Earth". Stone, iron. 2023

თენგიზ აბრამიშვილი. „სიჩუმე“. ქვა. 2020 წ.
Tengiz Abramishvili. "Silence". stone 2020

ავთანდილ არბოლიშვილი-არბოელი
„ქალის ტორსი“. თაბაშირი. 2020 წ.
Avtandil Arbolishvili-Arboeli. "Female Torso". Plaster. 2020

ეკატერინე ბულაშვილი
„ბიძაშვილის პორტრეტი“. ტონირებული თაბაშირი. 2023 წ.
Ekaterine Bulashvili. "Portrait of a Cousin". Tinted plaster. 2023

ეკატერინე გაჩეჩილაძე. „ოთარ ურუშაძის პორტრეტი“.
პოეტი, აკადემიკოსი. ტონირებული თაბაშირი. 2023 წ.

Ekaterine Gachechiladze
"Portrait of Otar Urushadze". Poet, academician. Tinted plaster. 2023

ეკატერინე გაჩეჩილაძე
„ინესა მაჭავარიანის პორტრეტი“. ტონირებული თაბაშირი. 2023 წ.

Ekaterine Gachechiladze
"Portrait of Inessa Machavariani". Tinted plaster. 2023

ჯონი გოგაბერიშვილი. „დმანისი“. ეკლარის ქვა. 2021 წ.
Johnny Gogaberishvili. "Dmanisi". Thorn stone. 2021

ზაქარია გულისაშვილი. „პორტრეტები“. ლითონი, ხე. 2022 წ.
Zakaria Gulisashvili. "Portraits". Metal, wood. 2022

ზაქარია გულისაშვილი
„სპირალი“. ლითონი. ტონირებული-ქვა. 2022 წ.
Zakaria Gulisashvili
"Spiral". metal. Toned-stone. 2022

ზურა დიღმელაშვილი. „დირიჟორი“. ბრინჯაო. 2023 წ.
Zura Digmelashvili. "Conductor". bronze. 2023

გელა დურუჯელი
„პრეისტორიული ლანდშაფტის ექო“. ქვა, მიქსედმედია. 2023 წ.

Gela Durujeli
"Echoes of the Prehistoric Landscape". Stone, mixed media. 2023

ლიზა ეპიტაშვილი. „Mother of mothers“. შამოტი. 2022 წ.
Lisa Epitashvili. "Mother of mothers". Fireclay. 2022

ლიზა ეპიტაშვილი. „Duality“. ბრინჯაო
Lisa Epitashvili. "Duality". bronze

ლევან ვარდოსანიძე. „ონლაინ მოგზაური“. ბრინჯაო. 2021 წ.
Levan Vardosanidze. "Online Traveler". bronze. 2021

ლევან ვარდოსანიძე
„ნათელი სამყაროსკენ“. ბრინჯაო, ფოლადი. 2023 წ.
Levan Vardosanidze. "Towards a bright world". Bronze, steel. 2023

ნინო თალაკვაძე. „ანა“. დეკორატიული ცემენტი. 2022 წ.

Nino Talakvadze. "Anna". Decorative cement. 2022

ნინო თალაკვაძე
„სულის მეტამორფოზი“. დეკორატიული ცემენტი. 2023 წ.

Nino Talakvadze,
"Metamorphosis of the soul". Decorative cement. 2023

თალიკო თოიძე
„სიკეთესა და ბოროტებას შორის“. ტონირებული თაბაშირი. 2023 წ.
Taliko Toidze. "Between good and evil". Tinted plaster. 2023

მარინა ივანიშვილი. ტორსი. თაბაშირი
Marina Ivanishvili. torso. Plaster

მარინა ივანიშვილი. ქალის პორტრეტი. ბრინჯაო
Marina Ivanishvili. Portrait of a woman. bronze

პაატა კუსიანი
„საქართველო - ვაზის აკვანი“. ეკლარის ქვა. 2022 წ.
Paata Kusiani ."Georgia - Cradle of Vine". Thorn stone. 2022

პაატა კუსიანი
„მშვიდობის შუქურა“. ეკლარის ქვა. 2021 წ.
Paata Kusiani. "Beacon of peace". Thorn stone. 2021

გიორგი კიკაძე
„დაპირისპირება“. ტონირებული თაბაშირი. 2023 წ.
Giorgi Kikadze. "confrontation". Tinted plaster. 2023

ნუგზარ მანჯაფარაშვილი. „მოლოდინი“. ქვა. 2020 წ.

Nugzar Manjafarashvili. "Expectation". a stone 2020

ნუგზარ მანჯაფარაშვილი. „აპრილი“. რკინა. 2021 წ.

Nugzar Manjafarashvili. "April". iron. 2021

რამაზ მანჯგალაძე
„განახლებული სიმღერა“. ტონირებული პოლიესტერი. 2020 წ.
Ramaz Manjgaladze"Renewed song". Tinted polyester. 2020

რამაზ მანჯგალაძე
„ქალი ჩიტით“. ტონირებული პოლიესტერი. 2021 წ.

Ramaz Manjgaladze"Woman with a Bird". Tinted polyester. 2021

თეიმურაზ მაღლაკელიძე
„ზაფხულის ანარეკლი“. პლასტელინი, ბრინჯაოს ფხვნილი. 2023 წ.

Teimuraz Maglagelidze
"Summer reflection". Plasticine, bronze powder. 2023

პაატა მერაბიშვილი. „ფიროსმანი“. ბრინჯაო, პატინა
Paata Merabishvili"Firosmani". Bronze, patina



პაატა მერაბიშვილი
„ცისფერი ჩიტი“. ფოლადი, პატინა. 2020 წ.
Paata Merabishvili. "Blue Bird". Steel, patina. 2020

ლევან მუზაშვილი. „მედეა“. ხე. 2023 წ.

Levan Muzashvili. "Medea". a tree 2023

დავით ნათიძე. „მცურავი არსება“.
იტალიური მარმარილო. ბელგიური ლურჯი მარმარილო. 2023 წ.

Davit Natidze
"Floating Creature". Italian marble. Belgian blue marble. 2023

ლაზარე ნოზაძე. „შერწყმა“. თაბაშირი, ლითონი. 2023 წ.
Lazare Nozadze. "Merge". Plaster, metal. 2023

ზვიად სულავა. „ძლევამოსილი“. ბრინჯაო. 2013 წ.
Zviad Sulava. "Powerful". bronze. 2013

ნიკოლოზ ტაბიძე. „ქალის ტორსი“. ბრინჯაო. 2021 წ.
Nikoloz Tabidze. "Female Torso". bronze. 2021

ნოდარ ფოფხაძე. „ქალის ტორსი“. სპილენძი
Nodar Pofkhadze. "Female Torso". copper

ეკატერინე ქოიავა
„ექო წარსულიდან“. ტონირებული თაბაშირი
Ekaterine Koyava. "Echo from the past". Tinted plaster

თამაზ ყაჭეიშვილი
„სიცოცხლე იმარჯვებს“. სპილენძი, თითბერი. 2021 წ.

Tamaz Kacheishvili"Life wins." Copper, brass. 2021

თამაზ ყაჭეიშვილი
„ქალის ტორსი - უკარება“. ტონირებული თაბაშირი. 2022 წ.
Tamaz Kacheishvili."Woman's Torso - Ukareba". Tinted plaster. 2022

გიორგი ცქვიტინიძე
„პორტრეტი“. ტონირებული თაბაშირი. 2023 წ

Giorgi Tskvitinidze."Portrait". Tinted plaster. 2023

გიორგი ჭანკოტაძე. „ზარი“. ლითონი. 2023 წ.

Giorgi Chankotadze"Call". metal. 2023

რეზო ხასია
„ვენტილაცია -(ანუ ნოეს კიდობანი)“. ლითონი. 2023 წ.
Rezo Khasia. "Ventilation - (i.e. Noah's Ark)". metal. 2023

რეზო ხასია. „წონასწორობა“. თაბაშირი. 2022 წ.

Rezo Khasia."Balance". Plaster. 2022

დავით ხმალაძე
„ურთიერთსიყვარული“. თაბაშირი. 2023 წ.

Davit Khmaladze. "Mutual love". Plaster. 2023

დავით ხმალაძე
„მოაზროვნე“. ბისკვიტი. 2023 წ.

Davit Khmaladze."thinker". Biscuit. 2023

მერაბ ხუტაშვილი
„სინათლე“/ “Light”. თითბერი, ქვა, პატინირება; 2021 წ.
Merab Khutashvili. "Light". brass, stone, patination; 2021

გია ჯაფარიძე
პანკების სიყვარული. ბრინჯაო. 2022 წ.
Gia Japaridze.“The love of punks”. bronze. 2022

გია ჯაფარიძე
კიბორგების შეხვედრა. ტონირებული თაბაშირი, 2022 წ.
Gia Japaridze. “Meeting of cyborgs”. Tinted plaster, 2022

© თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია
© Tbilisi Architects and Sculptors Association

Tbilisi Architects and Sculptors Association

TASA
Tbilisi association of Sculptors and Architechts

www.tasa .ge

Tbilisi -2023